რას მოგვიტანს ერევან-ბათუმის მაგისტრალი – საქართველოს დაქუცმაცებას თუ ეკონომიკურ აღმავლობას?

გაზეთი "ალია" – 4-6 ოქტომბერი, № 122, 2008

სომხეთიდან ახალციხეზე გავლით ბათუმამდე ავტომაგისტრალის მშენებლობაზე საუბარი უკვე რეალურ მოქმედებებამდე მივიდა. გაირკვა ისიც, რომ შეიქმნება კონსოციუმი და აღნიშნულ პროექტს ქართული და სომხური მთავრობები ერთობლივად დააფინანსებენ. „ალია" დაინტერესდა, ეკონომიკურად რამდენად გამართლებულია ეს პროექტი საქართველოსთვის. მით უმეტეს იმ ფონზე, როცა სომხეთი რუსეთის სტრატეგიული პარტნიორია. როცა რუსეთი სამცხე ჯავახეთის რეგიონში სიტუაციის დესტაბილიზაციით გვემუქრება და როდესაც საუბარია იმაზე, რომ მარნეულის აეროპორტისა და თბილისის დაბომბვა სწორედ სომხეთის ტერიტორიაზე განლაგებული რუსული ბაზებიდან მოხდა.

„ალიას" ესაუბრება ეკონომიკური ექსპერტი ლადო პაპავა:

– ბოლო ომმა დაგვანახა, რომ ერთი მაგისტრალური საავტომობილო გზა ქვეყნისთვის არ არის გამართლებული. გადაიკეტა ეს გზა და საქართველო პრაქტიკულად შუაში იყო გაწყვეტილი. ომიც რომ არ იყოს, აუცილებელია არსებობდეს ალტერნატიული გზები და რაც უფრო მეტი იქნება ეს გზები, მით უკეთესია საქართველოს ეკონომიკისათვის. ასე, რომ ამ თვალსაზრისით პარალერული გზის არსებობა გამართლებულია. თუმცა ამას მეორე კუთხითაც უნდა შევხედოთ. პირველი პრობლემა არის ის, რომ ჩვენი მეზობელი სომხეთი რუსეთის სტრატეგიული პარტნიორია, სომხეთში თავმოყრილია რუსეთის სამხედრო ბაზები, მათ შორის საქართველოდან გაყვანილი ბაზები. ამიტომ ამ მაგისტრალის არსებობა რა თქმა უნდა ქმნის დამატებით საფრთხეს. თუმცა ამას მეორე მხრიდანაც უნდა შევხედოთ. როდემდე უნდა გაგრძელდეს დაყოფა ისეთ მცირე რეგიონში, როგორიც კავკასიაა დაპირისპირებულ ძალებად? კავკასია ფეხზე ვერასოდეს დადგება

თუ არ წავიდა ინტეგრაციული პროცესები. ამიტომაც, სომხეთი რომ ჩამოშორდეს რუსეთს, როგორც სტრატეგიულ პარტნიორს, ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ ის იყოს გარკვეული რეგიონალური პროექტების მონაწილე. მე პირადად მივესალმები თურქეთ-სომხეთის ურთიერთობების ნორმალიზაციას. თურქეთი ნატოს წევრი ქვეყანაა და თუ მათ შორის ურთიერთობა არ დათბა, სომხეთი დარჩება მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის სტრატეგიულ პარტნიორად. სომხურ პოლიტიკურ ელიტაშიც მიმდინარეობს იმ აზრის ტრანსფორმაცია, რომ სომხეთი არ შეიძლება მხოლდო რუსეთის პარტნიორად დარჩეს. ანუ, სამხრეთ საქართველოზე გამავალი გზა საფრთხეების შემცველი არის, მაგრამ მას აქვს თავისი პოზიტიური მხარეც. რაც შეეხება ჯავახეთის რეგიონს, არ ვფიქრობ რომ ეს გზა ამ რეგიონის აფეთქებას გამოიწვევს. პირიქით, ჩემი აზრით ეს დადებითიც შეიძლება იყოს. ჯავახეთის რეგიონი საკმაოდ მტკივნეულად აღიქვამდა ყარსი-ახალქალაქის რკინიგზის გაყვანას, ახლა თუ ამ რეგიონის ეთნიკურმა მოსახლეობამ დაიმნახა, რომ სომხეთსა და თურქეთს შორის ურთიერთობები უმჯობესდება, მითი, რომ თურქეთი მოსპობს სომხეთს, დაიმსხვრევა. მოკლედ, სწორი პოლიტიკის განხორციელების პირობებში ეს მაგისტრალი ძალიან კარგად შეიძლება ჩაჯდეს საქართველოს ინტერესებში. მცდარი პოლიტიკის პირობებში კი გინდა გაიყვანე ეს გზა, გინდა არა, საფრთხის წინაშე მაინც ვრჩებით.

დიმიტრი ტიკარაძე